ევროკავშირის მიდგომა ზრდასრულთა განათლებისადმი

უილ ბარტლეტი

ზრდასრულთა განათლება ევროკავშირში

- სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიები ყველა მუშაკისთვის ზრდასრულთა განათლების ეფექტური სისტემის შექმნას მოითხოვს
- **სოციალური უფლებების ევროპული სვეტით** (2017) დადასტურდა შემდეგი უფლება:
  - ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება, მომზადება და უწყვეტი განათლება უნარებისა შეძენისა და შენარჩუნებისთვის, რაც ემსახურება საზოგადოებაში სრულ მონაწილეობას და შრომის ბაზარზე ტრანზიციის წარმატებით მართვას.
- თუმცა, უნარების განვითარების შესაძლებლობები ბევრი ზრდასრულისთვის მიუწვდომელია:
  - დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირები (დაბალი კვალიფიკაციის მქონე ზრდასრულები ნაკლებად მონაწილეობენ განათლებასა და მომზადებაში, უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით)
  - დასაქმების „ატიპური“ ფორმით მომუშავე პირები
  - მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული პირები
  - უმუშევრები
  - არააქტიური პირები

ზრდასრულთა განათლების ახალი ევროპული დღის წესრიგი 2021-2030

- 2021-2030 წლების ზრდასრულთა განათლების ახალი ევროპული დღის წესრიგი (NEAAL) მიღებულ იქნა 2021 წელს (თავდაპირველი EEAL დღის წესრიგის მიღებიდან ათი წლის თავზე) ზემოხსენებული საკითხების გადასაწყვეტად
- NEEAL 2030 ხელს უწყობს დიალოგს შესაბამის სამინისტროებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის
  - სოციალური პარტნიორები, ბიზნესები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
- ეფექტური ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი კოორდინაცია აუცილებელია პოლიტიკისა და პრაქტიკას შორის კავშირის დასამყარებლად.
- ამ ყველაფერმა ხელი უნდა შეუწყოს ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერას უწყვეტი კარიერული ორიენტაციის საშუალებით, რომელსაც თან ახლავს:
  - საინფორმაციო აქტივობები
  - არაფორმალური და ინფორმალური განათლების ვალიდაცია
  - ცნობიერების ამაღლება

2030 წლის ზრდასრულთა განათლების ახალი ევროპულ დღის წესრიგის ევროკავშირის ზრდასრულთა განათლების პრიორიტეტული მიმართულებები



1. მმართველობა

- მთავრობას ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა ყველა დონეზე **პარტნიორობის** შექმნით შეუძლია; მთავრობებს, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას, განათლებისა და მომზადების პროვაიდერებს, კომპანიებს, სოციალურ პარტნიორებს, საჯარო დამსაქმებლებსა და სოციალურ სამსახურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის
- პარტნიორობების როლი:
  - საგანმანთლებლო და სასწავლო საჭიროებების ანალიზი
  - ზრდასრულთათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარება
  - ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა
  - ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება
  - პროვაიდერებისა და კომპანიებისთვის რეკომენდაციების და ხელმძღვანელობის გაწევა
  - ზრდასრულთა საგანმანათლებლო ინიციატივების ეფექტიანი დაფინანსება
- ევროპული ქვეყნების უმრავლესობას ერთი ან მეტი სექტორთაშორისი უწყება გააჩნია, რომელიც პასუხისმგებელია ზრდასრულთა განათლების პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინირებაზე
- ამგვარი მიდგომა კვლევაზე, მტკიცებულებებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ ზრდასრულთა განათლების და ეროვნული უნარების სტრატეგიას უზრუნველყოფს

2. ზრდასრულთა განათლების მიწოდება და მოთხოვნა (დაფინანსება)

- ევროკავშირში ზრდასრული ადამიანების ერთ-მესამედისთვის, ვისაც განათლებასა და მომზადებაში მონაწილეობა სურს ფინანსური საკითხი წინაღობას წარმოადგენას
  - იმ ზრდასრული პირებისთვის, ვინც განათლების უფრო დაბალ საფეხურზე არიან დაფინანსება მეტად წარმოადგენს მონაწილეობის ბარიერს, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირებისთვის.
- ბევრ ევროპულ ქვეყანას აქვს სუბსიდირების პროგრამები, რომლის ფარგლებშიც აღიარებული კვალიფიკაციის მიღება უფასოდ არის შესაძლებელი
  - უმეტესობა ქვეყნებში დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებს არ უწევთ საფასურის გადახდა, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ საგანმანათლებლო და მოსამზადებელ პროგრამებში ISCED-ის მე-3 საფეხურის ან EQF-ის მე-4 საფეხურის ჩათვლით (ე.ი. ზედა საფეხურის საშუალო განათლება ან მისი ექვივალენტი).
- ფინანსური სტიმულები, რამაც მსმენელის ფინანსური ტვირთი შეიძლება შეამსუბუქოს (მოთხოვნის მხარეს დაფინანსება) ევროპის უმეტეს ქვეყნებში ხელმისაწვდომია.
  - მსმენელების მხარდაჭერა ფინანსური სტიმულებით, როგორიცაა სესხები, გრანტები და საგადასახადო შეღავათები
  - ზოგიერთი სქემა პირდაპირ ხარჯებს აფინანსებს
  - სხვა სქემები აფინანსებენ ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობით შემოსავლის დაკარგვას
- დაფინანსება მორგებული უნდა იყოს ზრდასრულთა სხვადასხვა ჯგუფებზე:
  - დაუცველი პირები, როგორიცაა შშმ პირები, ან სხვა ფაქტორები, რაც იწვევს გამორიცხვას

3. მისაწვდომობა და მოქნილობა

- ზრდასრულებს ხშირად სჭირდებათ მრავალი ვალდებულების დაბალანსება, ამიტომ მათი განათლება მოქნილი უნდა იყოს დროის, ადგილის, რესურსების, ორგანიზების ფორმებისა და განხორციელების თვალსაზრისით.
  - ეს შეიძლება ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური ფორმით განხორციელდეს
  - იგი უნდა იყოს საოჯახო, ცხოვრებისა და სამსახურის პასუხისმგებლობებთან თავსებადი
- საგანმანათლებლო და მომზადების პროგრამები წინარე ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს უნდა ეფუძნებოდეს, ითვალისწინებდეს ინდივიდუალური მსმენელის გამოცდილებასა და სურვილებს:
  - ინდივიდუალური საჭიროებები, თვითშეფასების შედეგები, მოწყვლადი ჯგუფებისთვის პრიორიტეტის მინიჭება
- სერტიფიკატების გამოყენებით შეიძლება გაფართოვდეს საგანმანათლებლო შესაძლებლობები და უზრუნველყოფილ იქნას უფრო მოქნილი და მოდულური სწავლის შესაძლებლობები
  - ევროკავშირის ქვეყნებში კარგად განვითარებულია მოდულური სწავლება
  - კრედიტებზე დაფუძნებული პროგრამები ნაკლებ მასშტაბურად გამოიყენება
- ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა მასშტაბით განვითარდა დისტანციური სწავლა რიგი ინიციატივების საფუძველზე
  - სისტემურ დონეზე დისტანციური სწავლა, ადგილობრივი პროვაიდერები და ინიციატივები ხშირად ასეთი ფორმით მიწოდებას უწყობს ხელს.

4a. თანასწორობა და ინკლუზია ზრდასრულთა განათლებაში

- ზრდასრულთა განათლება მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის სოლიდარობის ხელშეწყობისთვის
  - საბჭოს რეკომენდაცია კვალიფიკაციის ამაღლების გზების შესახებ: ახალი შესაძლებლობები მოზრდილებისთვის (2016) აღნიშნავს დაბალკვალიფიციური, უმუშევარი და დაუცველი ზრდასრული პირების სპეციფიკურ საჭიროებებს, რომლებსაც მხარდაჭერა სჭირდებათ საბაზისო უნარების გასაუმჯობესებლად.
- აუცილებელია სტიმულების გამოყენება მონაწილეობის ბარიერების მოსახსნელად ზრდასრულთა განათლების სფეროში, რაც გამოწვეულია
  - სწავლისთვის დროის უქონლობით
  - დაბალი საბაზისო უნარებით, დაბალი პროფესიული უნარებით
  - მიუწვდომლობით
  - მოტივაციის ნაკლებობით
  - სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით
- განათლება და მომზადება მსმენელზე ორიენტირებული უნდა იყოს და უზრუნველყოს მოკლევადიანი სწავლა სამიზნე კომპეტენციების შეძენის ან განახლების მიზნით

4b. პროფესიონალიზაცია, ხარისხის უზრუნველყოფა და მონიტორინგი

- ზრდასრულთა პედაგოგებისა და ტრენერების, მათ შორის პრაქტიკოსების (მენტორები, ტუტორები) პროფესიონალიზმი ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ელემენტია
- წინარე განათლების ვალიდაციითა და აღიარებით შესაძლოა ასევე ხელი შეეწყოს ხარისხის გაუმჯობესებას და ზრდასრულთა განათლება მიმზიდველი გახადოს
  - ვალიდაციის შესაძლებლობები და ის, თუ რა ხარისხით ექვემდებარება ის ეროვნულ მონიტორინგს საკმაოდ განსხვავდება ქვეყნებს შორის
- ზრდასრულთა განათლებისა და მომზადების პროვაიდერების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული და რეგიონული სისტემები შეიძლება ზრდასრულთა განათლების ხარისხის შენარჩუნებას უწყობდეს ხელს
  - ზრდასრულთა განათლების მიწოდების შედეგების მონიტორინგით შესაძლოა ხარისხის უზრუნველყოფა გაუმჯობესდეს
- ზრდასრულთა განათლების ევროკავშირის სამიზნეები შემდეგია:
  - 2025 წლისთვის სულ მცირე ზრდასრულთა 47% (25-64 წლის) მონაწილეობა მიღებული უნდა ჰქონდეს სასწავლო აქტივობებში ბოლო 12 თვის განმავლობაში, და 60% 2030 წლისთვის
  - ევროკავშირის ქვეყნების მხოლოდ ნახევარმა დაადგინა განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი სამიზნე, როდესაც საქმე ეხება საბაზისო უნარებს ან კვალიფიკაციებს

საგანმანათლებლო ორიენტაციის სერვისები ზრდასრულთათვის

- ზრდასრულთა კარიერული ორიენტაციის სერვისები მხარდაჭერილი უნდა იყოს პარტნიორობების საშუალებით ყველა დონეზე
  - ევროკავშირის მასშტაბით ზრდასრულთა მხოლოდ ერთ-მეოთხედს მიუღია ინფორმაცია ან რჩევა საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, სადაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იმ ზრდასრულებს შორისაა, ვისაც დაბალი დონის განათლება აქვს, ეკონომიკურად არააქტიურია და ხანდაზმულია.
  - სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ან სუბსიდირებული ორიენტაციის სერვისები ევროპაში ფართოდაა გავრცელებული; თუმცა ისინი იშვიათადაა მიმართული დაბალი საბაზისო უნარების ან კვალიფიკაციების მქონე ზრდასრულებზე
- ზრდასრულთა კარიერული ორიენტაციის სისტემების მხარდაჭერა საინფორმაციო აქტივობებითაა შესაძლებელი
  - ევროპული ქვეყნების ნახევარს გააჩნია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული საინფორმაციო აქტივობები, რომლებიც დაბალი საფეხურის საბაზისო უნარების ან კვალიფიკაციის მქონე ზრდასრულებზეა მიმართული, რათა ხელი შეუწყოს მათ ისარგებლონ სასწავლო შესაძლებლობებით
- უნარების პროგნოზირების სისტემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზრდასრულთა უწყვეტი კარიერული ორიენტაციის მხარდასაჭერად

გმადლობთ
ყურადღებისთვის!